ცნობის ფურცელი

№ 1816 ოთხშაბათი, 22 მაისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1816

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—8 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი"

სურათებიანი დამატებით

1-ლ ივნისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **4** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის ქალაქის გამგეობა, აუწყებს რა გამგეობის ნამყოფ წევრის

ევგრაფ იაგორის ძის ხოსროევის

გადაცვალებას, სთხოვს ტფილისის საბჭოს ხმოსანთ, თანამოსამსახურეთ და ყველა მათ, ვისაც ჰსურს პატივი სცეს გადაცვალებულის ხსოვნას, მობრძანდეს პანაშვიდზე, რომელიც დანიშნულია დღეს, 22 მაისს, დილის 12 საათზე, საბჭოს დარბაზში. (1—6—1)

შაბათს, 8 ივნისს, სოფელ ოფეთში (ქუთაისის მაზრა) გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის ს. ბაქოს ბილეთის კასირის

ნიკოლოზ ლუკას ძის ჩაჩუასი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და სთხოვენ დასწრებას მეუღლე ანნა ჩაჩუასი თავის პატარა ქალიშვილით და მამა მღვდელი ლუკა ჩაჩუა. აგრეთვე უცხადებენ დიდ მადლობას ბაქოს რკინის გზის მოსამსახურეთ, რომელთაც დიდი მონაწილეობა მიიღეს განსვენებულის გამოსვენებაზე. (1—321—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ვ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

გ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარხუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები— მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-
ტელეფონი № 274 ტლ.)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე; მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

---

19 მაისისათვის დანიშნული

დიდი სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრით უფასო და იაფ-ფასიან სასადილო-საჩაიეთა მმართველ საზოგადოების სასარგებლოდ

გადაიდვა ხუთშაბათ 23 მაისისთვის.

სეირნობა მოხდება საბავშო ბაღში, მიხეილის ქუჩაზე, იუნკერთა მოედნის პირდაპირ. (უ. 2—1)

1902 წ. მაისის 26 დღეს

სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში

გაიმართება

სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრით

ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების

ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

ბაზარი დაიწყება ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 10 საათამდე. იქნება აგრეთვე **ცეკვა** ქართულ-ევროპიული, საყმაწვილო გასართობი და სიურპრიზი.

ბაღში იქნება მუსიკა ორ გუნდად
და ზურნა

შემოწირულება უნდა გაეგზავნოს კნეინა ოლგა თადეოზის ასულს ჰავჰავაძისას (ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 21). (უ. 5—2)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა მაისის 25 დღეს, შაბათს, საღამოს 7 საათზე, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრების
გაგრძელება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური (პრატაკოლებს გარდა) ანგარიში საზოგადოების 1901 წ. მოქმედებისა;

2) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1902 წლისათვის;

3) კერძო მოხსენებანი (პროტოკოლის შედგენის შესახებ გარდა);

4) არჩევანი გამგეობის ორის წევრისა ნაცვლად ბ. ი. გომართელისა და ა. სარაჯიშვილისა, აგრეთვე სარევიზიო კომისიის ერთი წევრის ბ. ნ. გოგიტიძისა, რომელთაც წევრობას თავი დაანებეს;

5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—2)

ტელეგრამის განმარტება

ტელეგრაფმა გვაუწყა გუშინ, რომ ინგლისისა და ბურების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ზავის პირობებს.

ამრიგად, დასრულდა ის დიდებული და გმირული ტრაგედია, რომელსაც სამხრეთ-აფრიკის ომი ეწოდება და რომლის მიმდინარეობას სულგანაბული ყურს უგდებდა მთელი კაცობრიობა სამის წლის განმავლობაში! თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ქვეყნის ისტორიაში ცოტა მოიძებნება ამ ომის მზგავსი.

უძლიერესი, მთელის ქვეყნისათვის ზარდამცემი დიდი ბრიტანია ისეთ საშიშ მახეში გაება, რომ ბევრი მოელოდა მის ძლევა-მოსილების დამხობას, მის საქვეყნო, საერთაშორისო მნიშვნელობის მოსპობას. მარტო ეს გარემოება იმდენად დიდმნიშვნელოვანი, რომ აწ დასრულებულს ომს საგანგებო ხასიათს აძლევს. დღევანდელ დეპეშებში მკითხველი წაიკითხავს ინგლისურ გაზეთის “დაილი ტელეგრაფ“-ის აზრს: ინგლისი ისეთს საშიშარს მდგომარეობაში იყო, რომ სიკვდილს მოელოდაო. ინგლისის ასეთი გაჭირვება,—იმ დიდებულის ინგლისისა, რომელიც მეთაურობს განათლებულ კაცობრიობის ცივილიზაციისა და პროგრესს, სამწუხარო და საშიში იყო განათლებულის ქვეყნებისათვისაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდ-ბრიტანიისაკენ არ იყო მიმართული საზოგადო სიმპატია-თანაგრძნობა. ეს უფრო დაიმსახურა მისმა მტერმა—ბურთა პატარა ერმა.

გასაოცარი და საქებ-სადიდებელი გმირობა გამოიჩინა ამ ერთ მუჭა ხალხმა ვეებერთელა იმპერიასთან ბრძოლაში. აღფრთოვანებული სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის დიადის იდეალით, პატარა ერი დაუღალავად იბრძოდა და სისხლ-მოურწყველად არ დაუტოვებია ერთი მტკაველი მიწა თავის საყვარელ მამულისა. ომის დასაწყისშივე კრიუგერმა გამოაცხადა—ისეთს საქმეს ჩავიდენთ, რომ მთელი ქვეყანა განცვიფრდებაო. ეს აღთქმა გამართლდა: ბურები გაშმაგებით იბრძოდნენ, დიდი-პატარა თავს აკლავდა უთვალავ მტერს და ზღაპრულის თავგანწირულებით იქლიტებოდა. არსაიდან შველა, არსაიდან დახმარება მათ არ მიუღია; მარტო 300 ათასი ბური და საქვეყნო იმპერია მრავალ ას მილიონ მცხოვრებით იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ. დიდ-ბრიტანიამ მოიკრიბა მთელი თავისი ძალა, პატარა ერმა წინ დაუყენა უზომო სიყვარული სამშობლოისა, რომელმაც გამოაჩენია საკვირველი დიდსულოვნება.

ვინ გაიმარჯვა ამ საშინელს ტრაგედიაში? ბოლოს და ბოლოს ორთავე მოწინააღმდეგემ. ინგლისის დიდი პრესტიჟი შეურყეველი დარჩა. ბევრი წინასწარმეტყველობდა დიდ-ბრიტანიის საერთაშორისო მდგომარეობის შესუსტება აუცილებელიაო. მაგრამ ინგლისმა საკვირველი ძლევა-მოსილება გამოიჩინა, გაუძლო ასეთს ძნელსა და სახიფათო ომს, ცხრა-მთას იქით, გაუძლო გონებისათვის ძნელად წარმოსადგენს ხარჯს და თავისი საერთაშორისო მნიშვნელობა-მდგომარეობა არა-თუ არ შეურყევია, პირიქით გაამაგრა და გააძლიერა კიდეც.

მეორეს მხრით, ბურებმაც საპატიო მშვიდობიანობა მოიპოვეს. მათი თავისუფლება უზრუნველყოფილია. გმირულის ბრძოლით მათ დაიმკვიდრეს ისეთი მდგომარეობა, რომ ვერც ინგლისი, ვერც სხვა ვინმე ველარ გაბედავს შეზღუდოს ისინი თავის შინაურ ცხოვრებაში. ვის გაუგონია, რომ „დამარცხებულ" მტერს ასეთს პირობებზე უწერდეს ხელს გამარჯვებული მოწინააღმდეგე? სრული ავტონომია შინაურ საქმეებში, პატივება ყველას, არა-თუ ბურებს, არამედ თავისავე ქვეშევრდომთაც, რომელთაც „ულატეს" თავის სახელმწიფოს და ბურებს მისცეს მხარი, დაბრუნება ყველა ტყვეებისა, აღდგენა ყველა დაქცეულ ფერმებისა, ნივთიერ ზარალის ზღვევა, იარაღის ტარების ნება და სხვა,—ასეთი პირობები დამარცხებულის მტრისათვის ვის მიუცია?! ასეთს ზავს მხოლოდ დიდებული ერი უმკვიდრებს მამაცსა და უძლეველს მტერს. მართალია, კიტჩენერი განსაკუთრებით აღნიშნავს—ბურებმა კაპიტულაციას მოაწერეს ხელიო; მართალია, ინგლისის მეფე ხალხისადმი ეპისტოლეში ამბობს—ჩემი ახალი ქვეშევრდომებიო, მაგრამ ეს უფრო ეროვნულ თავისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არის ნათქვამი და არა ფაქტიურ მდგომარეობის გამოსახატავად. კაპიტულაცია არის, მაგრამ ორთავე მოწინააღმდეგეთა მხრით, რადგან, თუ ბურებს აღარ შეეძლოთ ომის განგრძობა, აღარც ინგლისისათვის იყო შესაძლებელი კიდევ დიდხანს ასეთის „საშიშ-სასიკვდილო" კრიზისის გაგრძელება.

მაშასადამე, სამხრეთ-აფრიკის საშინელი ტრაგედია დასრულდა. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო პოლიტიკისათვის. ძლევა-მოსილი ბრიტანია, რომელსაც უპირველესი ადგილი ეჭირა „სახელმწიფოთა კონცერტში", ამიერიდან თავისუფალია. ამიერიდან უფრო დიდი აზრი ეძლევა იმ კომბინაციებს, რომელნიც შესდგა კიდეც და რომელთა მოხერხება განზრახული აქვს ინგლისს. არც შინაურ პოლიტიკისათვის ნაკლებ უმნიშვნელოდ ომის დასრულება: კონსერვატორთა სამინისტროს აქამდე ხელს არ უშლიდნენ, რადგან მძიმე საქმეში იყო გართული, ამიერიდან კი მას პასუხს მოსთხოვს ქვეყანა ზოგიერთ საჭირ-ბოროტო შინაურ საქმეების წაყრუება-მივიწყების გამო.

„წერა-კითხვის საზოგადოების" კრების გამო *)

იშვიათად მიგვიღია ისეთი სიამოვნება, რომელიც მივიღეთ „წერა კითხვის საზოგადოების" კვირის კრებაზე. საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენდა ის სიყვარული და ინტერესი, რომლითაც ყოველი წევრი ეკიდებოდა საქმეს. ეტყობოდა, ყველას თავისად, ახლოდ მიაჩნდა „საზოგადოების" მოღვაწეობა. კრებას დაესწრო 60 მეტი წევრი გარდა გარეშე პირებისა. სასიხარულო და სანუგეშოა ჩვენის საზოგადოების ასეთი გამოცოცხლება და საზოგადო საქმეებით დაინტერესება **)...

განსაკუთრებით საყურადღებო იყო ორი კითხვა წარსულ კრებაზე. გამგეობა ძლიერ უკმაყოფილო იყო სარევიზიო კომისიის „მოხსენებით": ეს მოხსენება კი-არა, საბრალმდებლო აქტიაო, რევიზიას უნდა აღენიშნა, რა გავაკეთეთ და რა არ გავაკეთეთ და თავის აზრის და მსჯავრის გამოთქმის ნება კი არა ჰქონდაო.

მართალია, სარევიზიო კომისიის „მოხსენება" ზოგიერთ ადგილას უხერხულად არის შედგენილი, შიგ გადამეტებული სუბიექტივურობაა, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია რევიზიის შეზღუდვა მარტო მოქმედების ან არ—მოქმედების აღნიშვნით. მოქმედებას და არ მოქმედებას შუა ბევრი ადგილია. მოქმედება იყო, როგორი? არ მოქმედება იყო, რა თვისების, რა ხარისხის? აი თუნდა სკოლაში რომ რევიზორი აღნიშნავს: ბავშვები ცუდად სწავლობენო,—აქ ფაქტის აღნიშვნაა, მაგრამ მასთანვე ფაქტის სუბიექ-

---

*) ჩვენის თანამშრომლის ზოგიერთ მოსაზრებას არ ვეთანხმებით, თუმცა, საზოგადოთ, მისი პრინციპიალური მსჯელობა ამ საგნის გამო სიმართლედ მიგვაჩნია. ამ დღეებში ჩვენ დავუბრუნდებით აღძრულ საკითხს.

რედ.

**) კარგი იქნება, რომ პროვინციიდან ბევრი წევრი ესწრებოდეს ხოლმე ამ „საზოგადოების" კრებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივური დაფასებაც, რევიზორის აზრიც, რევიზიას მიტომ ჰნიშნავენ, რომ მან გაიცნოს სავსებით მთელი საქმე და გააცნოს საზოგადოებას თუ კრებას მოკლე, მაგრამ ნამდვილი სურათი საქმისა, მაგრამ შეიძლება ამ სურათის დახატვა, თუ არ იქმნა აზრი და შეხედულობა რევიზიისა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ? ვინც საქმეს სავსებით და დაწვრილებით გაიცნობს, მან, შეიძლება, ისეთი აზრი შეადგინოს საქმეზე, რომელიც არ ექნება სხვა პირს, ამიტომ რევიზია ვალდებულია მოახსენოს კრებას თავისი მოსაზრებაც. რევიზია ბრალსა სდებს გამგეობას? და განა ყოველს წევრს „საზოგადოებისა“ ნება არა აქვს ბრალი დასდოს გამგეობას (ე. ი. მოიწონოს თუ არ მოიწონოს გამგეობის მოქმედება)? მხოლოდ ყველას აზრს და მოსაზრებას განიხილავს საზოგადო კრება, იგი მოიწონებს თუ დაჰგმობს რევიზიის და სხვის მოხსენებას და დასდებს უკანასკნელს მსჯავრს, რომელიც სავალდებულოა და მნიშვნელობიანი გამგეობისათვის.

როდესაც ლაპარაკი აღიძრა კავკავის სკოლის შესახებ, რამდენმამე წევრმა სთქვა: ჩვენ, კრებას, უფლება არა გვაქვს შევეხოთ და გავარჩიოთ გამგეობის მოქმედება ამ სკოლის საქმეშიო; დაითხოვა თუ არა მასწავლებელი, ასე მოიქცა თუ ისე, ამის სრული თავისუფლება აქვს გამგეობას და „წესდების“ ძალით კრებას არ შეუძლიან ამის ანგარიში მოსთხოვოს გამგეობასო*).

მართლა ზღუდავს „წესდება“ საზოგადო კრების უფლებას? „წესდების“ მე-13 მუხლში გარკვევით სწერია სხვათა შორის, რომ კრების საქმეა: 1) განხილვა და დამტკიცება წლიურ ანგარიშისა (ეს ანგარიში შეეხება გამგეობის ყოველგვარ მოქმედებას და არა მარტო ფინანსიურ ნაწილს; ამისთვის საკმარისია, ნახოთ თუნდა გამგეობის მიერ გამოცემული „ანგარიში“ 1901 წ.), 6) არჩევა სარევიზიო კომისიისა ანგარიშის ღ გამგეობის მოქმედებათა შესამოწმებლად (გასასინჯავად) ДЛЯ ПРОВѢРКИ—(თუ ეს მოქმედება უნდა შეამოწმოს რევიზიამ, უნდა შეამოწმოს კრებამაც, რომელსაც მოახსენებს თავის „შემოწმებას“ სარევიზიო კომისია) და 8) განხილვა და დამტკიცება ყოველგვარ ზომათა, რომლებიც ხელს შეუწყობენ „საზოგადოების“ საგნების განხორციელებას (ეს ყოველგვარი ზომები სრულს უფლებას აძლევს კრებას განიხილოს არ შესაფერი მოქმედება გამგეობისა).

შეიძლება ვინმემ წესდების მე-19 მუხლზე მიგვითითოს, სადაც აღნუსხულია გამგეობის მოქმედების საგნები და სხვათა შორის ის, რომ გამგეობის საქმეა სკოლაში მასწავლებლის **დანიშვნა**. მაგრამ ეს იმას როდი მოასწავებს, რომ ვითომც ამ **დანიშვნის** ანგარიში არ უნდა მისცეს გამგეობამ საზოგადო კრებას. აგრე რომ იყოს, მაშინ კრება ვერც იმას განიხილავდა, რამდენად **შეასრულა** გამგეობამ წინანდელი კრების ესა თუ ის დადგენილება, რადგან ეს **შესრულებაც** გამგეობის საქმეა.

აშკარაა, რომ კრებას სრული უფლება აქვს მოსთხოვოს გამგეობას ყოველისავე მისის მოქმედების ანგარიში. კრება წლის დასაწყისში აძლევს გამგეობას სახელმძღვანელო დედა-აზრებს მოქმედებისათვის და საკმარისად თავისუფალ ასპარეზს სამოღვაწეოდ. სრული განსაზღვრა გამგეობის მომავალის მოქმედებისა წინ-და-წინ კრებას არ შეუძლიან და ეს მავნებელიც არის; მაგრამ უკვე ნამოქმედარის და გაკეთებულის სრული ანგარიში-კი (რასაკვირველია, არა ყოველი წვრილმანის) უნდა წარუდგინოს გამგეობამ კრებას. კრება არის „საზოგადოების“ უმაღლესი ორგანო გამგებელი, ზედამხედველი და მეკანტროლე.

როდესაც კრება იხილავს: რა გააკეთა გამგეობამ, ან როგორ გააკეთა, და იწონებს ერთს მოქმედებას და არ იწონებს—მეორეს, ამით იგი უპირველესად გზას უჩვენებს გამგეობას მომავალ მოღვაწეობისათვის. მაგრამ ძნელი ის არის, რომ ანგარიშის განხილვის დროს შეიძლება საჭირო შეიქნეს გამგეობის მიერ უკვე ნამოქმედარის გაუქმება (და არა მარტო დავალება მომავალისათვის). გამგეობას დაუდგენია, მაგალ.: აგენტები არ იყოლიოს წიგნების გასავრცელებლად სოფლებში, კრებამ გადაწყვიტა—უნდა იყოლიოს; გამგეობას სამი კაცი დაუქირავებია კანცელარიისათვის, კრება კი ამბობს—ორი კაცი კმარაო; რომელსამე სკოლაში უწეს-რიგობაა, გამგეობას ვერ მოუწყვია სკოლა, კრება ჰფიქრობს ეს არეულობა ამა და ამ მასწავლებლის მიზეზით არის და საჭიროა მისი დათხოვნაო,—ყველა ამ შემთხვევაში გამგეობა უნდა დაემორჩილოს კრებას. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, თუმცა ძლიერ იშვიათი, როდესაც გამგეობა ვერ დაემორჩილება კრების დადგენილებას. მაგალ. გამგეობამ სრულიად უვარგისად იცნო რომელიმე მასწავლებელი და დაითხოვა, კრებამ მიიღო უკან ეს მასწავლებელი. ამ შემთხვევაში გამგეობა იძულებული შეიქნება თავი დაანებოს სამსახურს, რადგან მასწავლებლის და გამგეობის, მის ახლობელ ზედამხედველის შორის ზნეობრივი კავშირი გაწყვეტილია და მათი-ერთად ყოფნა შეუძლებელია.

მაგრამ ეს შემთხვევა სრულებით არ ზღუდავს კრების უფლებათ. კრების უფლებაა და მისის საზოგადოებრივობის განვითარების საქმეა, დაყენოს ასეთი საკითხი. წესდების მე-11 მუხ. პირდაპირ ამბობს, რომ „საქმეების მთავარ-მმართველობა ეკუთვნის კრებას“, და სულ მეტია პრინციპიალურად კრების უფლების შეზღუდვაზე სჯა. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად ტაქტიკურია და შესაფერი ხანდახან კრება **უთუოდ** წინააღუდგეს გამგეობას.

გალამი.

საზღვარ-გარედ

ანტილის კუნძულების კატასტროფა. კუნძულ სენ-მარტინიკის ყოველ-მხრიდან მორბის ხალხი ფორტ-დე-ფრანსში და თხოულობს კუნძულიდან წაყვანას, რადგან დარწმუნებულია, რომ მთელი კუნძული დაიღუპება. კონსულებსა და გემების უფროსებს მოსვენება არა აქვთ მთხოვნელებისაგან.

ამინდი ეხლა მშვენიერია, ცა უღრუბლო, არ არის ნიშანი, რომ კატასტროფა განმეორდეს, მაგრამ ხან და ხან კიდევ ისმის გუგუნი და ვოლკანს გარს არტყია სქელი ღრუბლები.

9 (22) მაისს სამხედრო გემ „დიქსი“-თ რამდენიმე მეცნიერი მოვიდა. გემმა მოიტანა დიდძალი სანოვაგე, მაგრამ მდიდარიც და ღარიბიც იმას გაიძახის, რომ არ გვინდა საჭმელი, წაგვიყვანეთ აქედანო. გაქცევის სურვილი ყველას იდე-ფიქსად აქვს გადაქცეული, სხვა აღარა ახსოვთ რა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვოლკანმა ხელმეორედ იფეთქა საშინელის ძლიერებით.

ქალაქი სენ-პიერი, თითქოს დაეფქვას ვისმე: იგი ნაცრისა და ფერფლის გროვებს წარმოადგენს. თუ რამდენად ძლიერი იყო ვოლკანის მეორე მოქმედება, სჩანს იქიდან, რომ საკათედრო ტაძრის მაღალი კოშკები ბაზალტისა სულ მტვრად არის ქცეული. ყველაფერი ამტკიცებს, რომ აქ გაუვლია საშინელის სიძლიერით ცეცხლ მოკიდებულ ჰაზს. სენ-პიერში ნამყოფ გემების უფროსების სიტყვით, ქალაქი ჰგავს ეხლა რაღაც უცნაურ ამფითეატრს, რომლის ზემოთ თითქმის განუწყვეტელი გამანადგურებელი ქარიშხალი ჰქრის. გახურებული ტალახი ჯერაც მოდის ვოლკანიდან და ზღვას ერთვის.

აქ მოსულ მეცნიერებს განზრახვა აქვთ ადგილობრივ გამოიკვლიონ, თუ რამდენად საშიშია ფორტ-დე-ფრანსის მდგომარეობა.

მარტინიკის ახლად არჩეული დეპუტატი კლერკი არ დაღუპულა, როგორც ამას აქამდე ჰფიქრობდნენ. კატასტროფის შემდეგ კლერკი და ერთი ინჟენერი ვოლკანიურ მთების დასათვალიერებლად წასულან და 1.233 მეტრის სიმაღლემდე ასულან. აქედან მათ დაუნახავთ, რომ კრატერის დიამეტრი სამს მეტრზე ნაკლები არ იქნება.

სე-მარტინიკის უმაღლესი ადგილი მორნ-ლაკრუა ყოფილა; ეხლა შიშობენ, რომ ეს მაღლობი ჩაინგრევა, რადგან ძირში ვოლკანიური მოქმედება არის თურმე.

კლერკი ამბობს, რომ მთაზე ასვლის დროს იგი რამდენჯერმე შეარყია ელექტრონულმა ძალამ; მიწა ისე გახურებული ყოფილა, რომ ფეხსაცმელი დაღრეკილა. მორნ-ლაკრუას ახლო მდებარე ტბა სრულებით დამშრალა.

კრატერის პირი მეტად გამოცვლილია და მთელ მთას შემაძრუწუნებელი შეხედულება აქვს. ნიადაგი დაფარულია გოგირდის დიდი ნატეხებით. ელექტრონით გაჟღენთილმა ჰაერმა უკან გამოაბრუნა კლერკი და მისი თანამგზავრი; ძირს ჩამოსვლა უფრო გაუჭირდათ თურმე, ვიდრე ზევით ასვლა, მგზავრებს ნაცრით ევსებოდათ თვალები.

იაპონია და ინგლისი. რუსული გაზეთები ეს ერთი ხანია სულ იმას ამტკიცებდნენ, რომ იაპონია თუ სულ გაკოტრებული არ არის დღეს, ხვალ გაკოტრდება და მის „მანია გრანდიოზა“-საც ბოლო მოეღებაო. მაგრამ, ალბათ, ეს ასე არ არის, რადგან იაპონიას განუწყვეტლივ კიდევ უფრო გააძლიერას თავისი ფლოტი, რომ მზად იყვეს ყოველის შემთხვევისათვის (განზრახულია—ოთხი ჯავშნიანი გემი, ექვსი კრეისერი და რამდენიმე ნაღმიანი ნავი).

ინგლისის ჟურნალ-გაზეთები, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებითა და მოწონებით ლაპარაკობენ იაპონიის ასეთ განზრახვაზე და თან იმედს აცხადებენ, რომ ინგლის-იაპონიის კავშირის მოქმედება გავრცელებული იქნება ევროპაზედაც იმ შემთხვევისათვის, თუ ომი ასტყდება.

ინგლის-იაპონიის კავშირის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება სამხრეთ აფრიკის ომიანობის გათავების შემდეგ. თუ ამ კავშირმა აქამდე იმდენი ძალ გამოიჩინა, რომ მანჯურიის კითხვას სულ მოულოდნელი ხასიათი მისცა, ეხლა, როცა ინგლისიც თავისუფალია, ორთა კავშირს მეტის გავლენისა და ძლიერების გამოჩენა შეუძლია, რაც ეხლანდელ საერთაშორისო დამოკიდებულებაში მეტ სიმტკიცეს შეიტანს და არა სასურველ სიურპრიზებს ნაკლები ადგილი ექნება. საერთაშორისო პოლიტიკაში თავისუფალი ძლიერი ინგლისი საუკეთესო ელემენტია.

საფრანგეთი. „საფრანგეთის სამშობლოს ლიგის“ საქმე უფრო და უფრო ცუდათ მიდის, თუმცა ჟიულ ლემეტრი სცდილობს დაამტკიცოს, რომ საქმე ძალიან კარგად მიდის. ლიგის ერთი სულის ჩამდგმელი ფრანსუა კოპე ხომ გამოვიდა ორგანიზაციიდან. ეხლა მეორეც მიდის. გაზეთები იტყობინებიან, რომ პოლკოვნიკ მონტეილმაც მისწერა წერილი ლემეტრს და შეატყობინა, რომ თავს ანებებს ლიგას—არ შემიძლია დავრჩე ორგანიზაციაში, სადაც სექტანტობა გამეფდაო.

✿ გაზეთების სიტყვით, ვალდეკ-რუსო ექიმების რჩევით, ნორვეგიაში მიდის სამოგზაუროდ. იგი დაუპატიჟებია მეფე ოსკარს ნადირობაში და თევზის ჭერაში მონაწილეობის მისაღებად. ჩრდილოეთიდან ვალდეკ-რუსო სამხრეთისაკენ წავა. განზრახვა აქვს ეგვიპტეში მივიდეს და მდ. ნილოსით იმოგზაუროს. საფრანგეთში ვალდეკი დაბრუნდება მხოლოდ დეკემბერში და ისევ ადვოკატობას მოჰკიდებს ხელს.

ახალი ამბავი

◆ ხვალ, 23 მაისს, კავკასიის მთავარმართებელი **თავ. გ. ს. გოლიცინი** პეტერბურგში მიემგზავრება.

◆ გუშინ-წინ, 20 მაისს, კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ **გარდაიცვალა** ტფ. ქალაქის გამგეობის ყოფილი წევრი **ევგრაფ იაგორის ძე ხოსროევი**. განსვენებული ეს მეოთხე წელიწადია ავადმყოფობდა და რამდენიმე თვის წინად ავადმყოფობისავე გამო სამსახურიდან გამოვიდა. ევგრაფ იაგორის ძემ სწავლა დაასრულა სამოციან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულს ფაკულტეტზე და რამდენიმე ხნის სასამართლოს დაწესებულებებში სამსახურის შემდეგ დანიშნულ იქმნა ერევნის გუბერნიაში მომრიგებელ მოსამართლედ. შემდეგ მან თავი დაანება სახელმწიფო სამსახურს და აგერ 22 წელიწადი იქნება, რაც განუწყვეტლივ ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობის აღსრულებით ემსახურებოდა ქალაქს. მის ხანგრძლივ სამსახურს ქალაქის თვით-მართველობამაც მიაქცია ყურადღება და ბოლოს დროს პენსიაც დაუნიშნა; საუბედუროდ, პენსიის მიღებაც არ დასცალდა.

საუკუნოდ იყოს ხსენება ამ უჩინარ, მაგრამ პატიოსან და მუყაით მშრომელისა!

◆ ორშაბათს, 20 მაისს, საღამოს 8 საათზე, სხდომა ჰქონდა კავკასიის **შეუძლებელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების** გამგეობას. გამგეობამ გადასწყვიტა გამგეობის ერთის წევრისა, წევრთა კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ამოსარჩევად საზოგადო კრება გამართოს სამშაბათს, 28 მაისს. ამავე სხდომაზე გამგეობამ განიხილა თხოვნა სტუდენტის ავალიშვილისა შემწეობის აღმოჩენის შესახებ. შეკრებილ ცნობებით გამგეობა დარწმუნდა მთხოვნელის ხელმოკლეობაში და გარდასწყვიტა გაუგზავნოს მას 100 მან. ერთ-ჯამიერ შესაწევად.

◆ 20 მაისს, ტფილისის **ქალაქის საბჭოს სხდომა**, ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა.

◆ ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში, 20 მაისს, საღამოთი, სხდომა ჰქონდა **პირუტყვთა მფარველ** კავკ. საზოგადოებას, ტფ. კომენდანტის რეიტერის თავმჯდომარეობით. კრებამ მოისმინა თვისი არსებობიდან 25 წლის შესრულების გამო მიღებულ მილოცვის დეპეშების შინაარსი. საზოგადოებისათვის 25 წლის იუბილეი მიულოცნია მის უმაღლესობას დიდს-მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, ბუხარის ემირს და სხვათ. სხვათა შორის, გამგეობის მოხსენების თანახმად, საზოგადოებამ გადასწყვიტა გაუგზავნოს ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი ყუბანის ეკონომიურ საზოგადოებას სექტემბერში განზრახულ პირუტყვთა სამრეწველო გამოფენაზე საუკეთესო ექსპონენტების დასაჯილდოვებლად.

◆ **პირუტყვთა მფარველ** ტფილისის საზოგადოების გამგეობამ ამ დღეებში სთხოვა განჯის გუბერნატორს დახმარება გაუწიოს მას ქალაქ განჯაში ხსენებულ საზოგადოების განყოფილების დაარსება მოწყობის საქმეში.

◆ „კავკაზ“-ის სიტყვით, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 16 მაისს, დილით, ერთ-ერთ **ავადმყოფთა პალატაში ნახეს მკვდარი** 70 წლის მოხუცი პეტრე კოჩატკოვი, რომელიც დიდიხანია წამლობდა ამ საავადმყოფოში. მოხუცის გვამი იდო კრაოტზე და სისხლში მოსვრილი იყო. გვამი საანატომიო თეატრში გადაიტანეს, სადაც იგი გასჭრეს. აღმოჩნდა, რომ მოხუცს მარცხენა ხელის ძარღვები და ნერვები დანით გადასხეპილი ჰქონდა. ცხადია, რომ სიკვდილის წინა ღამეს ჰქონდა გაჭრილი ძარღვები, რომ სისხლით დაიცალოს. ამ შემთხვევის გამო სამართლიანად უსაყვედურებს „კავკაზი“: „ნუ თუ რიგიანად მოწყობილს საავადმყოფოში არავითარი თვალყური არ უნდა ეჭიროთ ავადმყოფებზე და როგორ არ მიეშველენ მოხუცს, როდესაც იგი სისხლისაგან იცლებოდა“?

◆ ამ დღეებში ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ნაძალადევში, კუჩენბახის აგურის ქარხნის ახლო, იპოვეს **უცნობი კაცის გვამი**, რომელსაც ეტყობოდა, რომ ძალათ იყო მოკლული. როდესაც გვამი გასჭრეს, აღმოჩნდა, რომ ქვით ჰქონდა თავი გაჩეხილი და, გარდა ამისა, ორი ჭრილობაცა ჰქონდა დანით, ერთი მარცხენა ძუძუში და მეორე ცოტა ქვეით. ამ გვარად იმას დაჭრილი ჰქონდა გული და მარცხენა ფილტვი. დაიწყეს გამოძიება და პოლიციამ აღმოაჩინა, რომ მოკლული ყოფილი შვეიცრად (მეკარედ) ნამყოფი პოტაპენკო, 22 წლისა, რომელიც თავის ახალგაზდა ცოლით (16 წლისა) ნაძალადევში სცხოვრობდა. პოტაპენკოს ცოლს ეტრფოდა ქმრის ერთი მეგობართაგანი, ქაღალდების გადამწერი, რომელმაც, პოტაპენკოს ცოლთან მოლაპარაკების შემდეგ, საბრალო პოტაპენკო დაიყოლია, რომ სასაფლაოზე წაჰყოლოდა, სადაც ის, იმის დაპირებით, იმის ცოლს ჯადოს გაუკეთებდა, რომ თავის ქმარი ჰყვარებოდა. სასაფლაოზე პოტაპენკო დააწვინეს ქვაზე და თვალები დაახუჭინეს. ამ დროს გადამწერელმა აიღო დიდი ქვა და თავში დასთხლიშა მწოლარე პოტაპენკოს. პოტაპენკოს ცოლი და გადამწერი დატუსაღებულები არიან და, როგორც ამბობენ, თურმე გამოტყდენ თავიანთ დანაშაულობაში („კავკ.“).

◆ **თელავიდან** გვწერენ: 25 მაისს თელავის კლუბის დარბაზში გაიმართება წარმოდგენა ჩვენის ნიჭიერის მსახიობის ვ. აბაშიძის საიუბილეოდ და მთელი შემოსავალი გადაეცემა დრამატიულ საზოგადოებას მასამატებლად ფონდისა, რომელიც შეეწეობას აღმოუჩენს გაჭირვებულ მსახიობთ. წარმოდგენილი იქნება „ციმბირელი“ თელაველ სცენის მოყვარეთაგან ბ. აწყურელის და ბ. გამრეკელიძის მონაწილეობით.

---

*) სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ეს წინადადება არ ყოფილა გამგეობის მხრივ.

ამავე სცენის მოყვარეთაგან ზაფხულის თვეების განმავლობაში წარმოდგენილ იქმნება თელავში შემდეგი პიესები: „პედაგოგები“, „კრეჩინსკის ქორწილი“, „ფული და ხარისხი“, „გაცრუებული იმედები“, „ინჟინერი და დოქტორი“, „დოქტორი ფლაქსმანი“. გარდა ამისა გამართული იქნება კონცერტი და დაიდგმება ცოცხალი სურათები „ვეფხვის ტყაოსნიდან“.

◆ როგორც ამ დღეებში აღვნიშნეთ, პოლიციის მე-5 ნაწილში მტკვარში უცაბედად გადავარდა ვიღაცა კაცი და დაიხრჩო. პოლიციის გამოძიებით, დამხრჩვალი ყოფილა ტფ. მცხოვრები მიხეილ ტოტიას ძე კპიტაშვილი.

◆ 1-ლ მაისიდან 8-მდე ტფილისში სხვადასხვა გადამდებ სენით ავად ყოფილა: ყვავილით—1, ყელის-ჭირვებით—3, წითელათი—1, მუცლათი—1 და ხუნაგით—1.

◆ 20 მაისს, ღამით, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუკლავთ ერთი კაცი და გადაუგდიათ ნავთლუღის იქით, ეგრედ წოდებულ ჩახრიალას ხევში. პოლიცია გამოძიებას შეუდგა.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ 17 მაისს ყარსის რკინის გზის მეთექვსმეტე ვერსზე ჩხუბი მოუვიდათ გზის დარაჯებს და მწყემს—თათრებს. ჩხუბი გაცხარდა და მალე ხანჯლებიც იძრეს თათრებმა. ამ ჩხუბში მსუბუქად დაიჭრა ხელში დარაჯი აბრამიძე, ხოლო დარაჯი გორბაჩოვი—ძალიან, ასე რომ ის საავადმყოფოში გაგზავნეს. თათრები შეიპყრეს და საერთო დარაჯებს გადასცეს.

◆ 15 მაისს ნავთლუღის მეფარნე ოვაკიმ საიათნოვი თავისავე სოფლის მცხოვრებ კარაპეტოვთან ერთად გამოსულა სახლიდან და სადღაც წასულა. 17 მაისს, ნავთლუღის ზემოდ, 1½ ვერსის სიშორეზე, ერთ გამოქვაბულში უნახავთ მოკლული—უცნობი კაცის გვამი. გამოძიებით აღმოჩენილა, რომ მოკლული მეფარნე ოვაკიმ საიათნოვია; საწყლისათვის ბოროტ-განმზრახველს თავში დაურტყამს ქვა და იქვე მოუკლავს. ეჭვი მიუტანიათ კარაპეტოვზე, რომელიც უკვე დაუპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

◆ 1901 წლის 8 სექტემბერს, გორის მაზრის სოფელ ტეზერის სოფლის საზოგადოების სამართველოს მოხელეს სინო ქალიაშვილს მივარდნია სოსიკო გელაშვილი და დაუწყია მისთვის ცემა ჯოხით, რადგანაც ეს უკანასკნელი წინად ქალიაშვილს რაღაც საქმისა გამო გაელახა. ამავე დროს ქალიაშვილისათვის სოსიკო გელაშვილის შვილს ზაქარიასაც დაუწყია ცემა. მამასახლისს სოლომონ ქალიაშვილს სხვათა დახმარებით გაუშველებია მოჩხუბარნი და ღამის 10 საათზე ყველანი წასულან თავთავიანთ სახლებში. სოფლის სამართველოდან რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ სინო ქალიაშვილს დაუყვირნია: „აკი მომკლა იმ—შვილმაო“. აღმოჩნდა, რომ ვიღაცას სინოსათვის ზურგში ხანჯალი ჩაეცა. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიუციათ შორაპნის მაზრის სოფ. ნადოშურის მცხოვრები გლეხი ზაქარია გელაშვილი, 27 წლისა, რომელიც ტფ. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცნია და გარდაუწყვეტია მისი პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა სამის წლის ვადით. გელაშვილს ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია ტფ. სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გუშინ, 21 მაისს, ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

ქუთაისის ახალი ამბები

— ქუთაისის ინტელიგენცია ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ სააზნაურო ბანკის დირექტორად გაიყვანოს ბ. ვ. ნ. აბულაძე (ერივანის ოლქის სასამართლოს წევრი). ვექილმა ი. თ. ბაქრაძემ უარი განაცხადა კანდიდატობაზე.

〰 ქუთაისში უკვე გაიხსნა პირუტყვთა მფარველ კავკასიის საზოგადოების განყოფილება, რომლის თავმჯდომარეობა უკისრნია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ბ-ნ სმაგინის მეუღლეს.

〰 წელს გიმნაზიის მერვე კლასის ორს განყოფილებაში ირიცხებოდა სულ 52 მოწაფე, რომელნიც ყველა დაუშვეს ეგზამენებზე. ამათგან ქართველია 35, ესე იგი 67,3%-ზე ცოტა მეტი. წერაში ეგზამენები უკვე გათავდა; ზეპირი ეგზამენები კი გაგრძელდება 8 ივნისამდის.

— წელს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მეოთხე კლასში სწავლობდა 33 მოწაფე; ეგზამენზე ყველა დაუშვეს. უკანასკნელი ეგზამენი მოხდება 10 ივნისს. შარშან ამავე კლასში ირიცხებოდა 22 მოწაფე, რომელთაგან სწავლა დაასრულა 21-მა. მთელ სასწავლებელში წელს ირიცხება 498 მოწაფე, რაც არა ჩვეულებრივი მოვლენაა ამ სკოლისათვის. ერთი სიტყვით, სკოლის საქმე თანდათან უკეთ მიდის. სკოლის ეხლანდელი მმართველი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ სკოლა სასურველ ნიადაგზე დააყენოს: მასწავლებელთა დახმარებით ასწორებს ძველ პროგრამას, არკვევს სწავლების საუკეთესო სისტემას, მართავს წარმოდგენებს, სალიტერატურო და სამუსიკო საღამოებს, დაჰყავს მოწაფეები ჩვენი შესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად და სხვ. ამ დღეებშიაც მიჰყავთ მოწაფეები ტყიბულის მიდამოების დასათვალიერებლად.

— ქუთაისის ცნობილმა მემამულემ ხმოსანმა ი. ზ. გველესიანმა შესწირა ქალაქს, 5000 მანეთი იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებლით, 300 მანეთით, დაარსდეს ერთი სტიპენდია რუსეთის ერთს უმაღლესს სპეციალურ სასწავლებელში შემომწირველის სახელზე. სტიპენდიის მიღება შეეძლებათ ქალაქ ქუთაისისა და მისი მაზრის მცხოვრებთა შვილებს ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად. ერთსა და იმავე პირს სტიპენდიით სარგებლობა შეეძლება არა უმეტეს ხუთის წლისა. სტიპენდია მიეცემა ისეთ პირთ, რომელთაც ქალაქის საბჭო სცნობს ამის ღირსად. სწორედ მისაბაძავი მაგალითია.

— ქუთაისის გუბერნიის მმართველობის საექიმო განყოფილებას ნება დაურთავს პროვიზორ ქლენტისთვის გახსნას ქალაქ ფოთში მეორე ნორმალური აფთიაქი. მეორე აფთიაქი იხსნება აგრეთვე ქ. სოხუმში. როგორც გვითხრეს, მთხოვნელები ძლიერ ბევრია.

— რადგანაც წელს იმერეთში აბრეშუმის მოსავალი ძლიერ ნაკლებია, ფასები კარგი უნდა იქნეს. ჩარჩებმა უკვე აიღეს ალყა, დაძრწიან სოფელ-სოფელ და ეხლავე არიგებენ ბეს, რომ მთელი მოსავალი მათ ჩაიგდონ ხელში; ხოლო რა ფასად ჩაიგდებენ, ამას განმარტებაც არ სჭირია. დიდი შრომა და ენერგია სჭირდება ქუთაისის, კუხისა და გურიის მეაბრეშუმეთა ამხანაგობათ, რომ შეერთებული ძალით შეებრძოლონ ამ ვაჭრბატონების თავგასულობას და მით დაიცვან როგორც ამხანაგობათა, ისე მწარმოებელთა ინტერესები.

დაბა-სოფლები

ს. ლაჯანა (ლეჩხუმი): ორი წელიწადია, რაც აქ დააარსეს სამრევლო სკოლა. ხალხი სიხარულით მიეგება სკოლას და დაუყოვნებლივ ააგეს სახლი იქვე ეკკლესიის გალავანთან. ყველას იმედი ჰქონდა, რომ მათი შვილები ქართულ წერა-კითხვას მაინც ისწავლიან. მაგრამ მოლოდინი ოცნება გამოდგა. თუ მართალს ვიტყვით, სკოლა ცუდ მდგომარეობაში არის. მას არ ეღირსა მასწავლებელი გარდა იმავე ეკკლესიის მღვდლისა. რა თქმა უნდა, რომ მღვდელი მარტო, თუ თანაშემწე არ ეყოლა, ვერ აასრულებს მასწავლებლის მოვალეობას როგორც ჯერ არს, რადგან მას მრავალი სხვა საქმე იწვევს. მაგალითად, როდესაც მღვდელი ბავშვებს გაკვეთილებს აძლევს, იმ დროს მოდის კაცი და ეუბნება: ბავში მიკვდება და მომეშველე, მომინათლეო, ან ავადმყოფი მოზიარეო და სხვა. შეუძლებელი ამ თხოვნებზე მღვდელმა უარი სთქვას და მიდის; უმაწვილებიკი რჩებიან სადერდელ აშლილი უმწყემსო ცხვრის ფარასავით. ამ გარემოებამ ხალხიც აალაპარაკა და აქა-იქ გაიძახიან: ისევ სახლი გვეიდოთ და ჩვენი ფული დავიბრუნოთ, თორემ მოგვსტყუვდითო. სამწუხარო იქნება, რომ ეს ასე მოხდეს. ამ სოფელში 20 ქცევამდე სახაზინო და საეკლესიო ადგილებია ძრიელ კარგი და ხალხისთვის უფრო სასარგებლო იქნება, რომ სკოლას აქ გადმოიტანდნენ, რადგან ამ ალაგას მშვენივრად შეიძლება სამეურნეო სწავლაც გაიმართოს.

ვისურვებთ, სამრევლო სკოლების ზედამხედველს მღ. ბ. ბოჭორიშვილს, ჯეროვანი ყურადღება მიექციოს ჩვენის სკოლის არა სანატრელ მდგომარეობისათვის.

დ. ხონი. აქედან ქუთაისში და სამტრედიაში მიმავალი გზები ამ ხანად ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არიან. ეს გზებს კი არა, უფრო ჭენჭყოიან-ჭაობიან ადგილებს მოგაგონებთ. ნამეტნავად წვიმიან ამინდში ამ გზებზე გავლა შეუძლებელი ხდება. ასეთი გზების უვარგისობა აწუდება თავზე აქაურ დილიჟნის ცხენებს. მედილიჟნესთვის სულ ერთია დარია თუ ავდარი. ის ავდარში ფასს აუწევს და გახდის 50—80 კაპ. თითო კაცის ადგილს. ცხენი ცოდვაა, გლახა გზებიაო, ამას ტყვილად აზრშიაც არ გაატარებს, და რამდენი „პასაჟირიც“ უნდა შეხვდეს, უარს არც ერთს არ ეტყვის. ხშირად შეხვდებით, რომ ბარგის გარდა თითო დილიჟანში სხედან 14—17 კაცი, მიუხედავად იმისა, რომ აქაურ დილიჟნებში 8—10 კაცის ადგილის მეტი არ არის. ამ გზებზე მუშაობაშია ერთი და იგივე ცხენები დღეში ორჯერ, (აქეთ-იქით); მათი მდგომარეობა კარგ ამინდშიაც ძნელია, წარმოიდგინეთ ახლა წვიმა ტალახში რა ტანჯულია ეს პირუტყვი.

კარგი იქნება პირუტყვთა მფარველი ქუთაისის საზოგადოება მაინც მიაქცევდეს ამ გარემოებას ყურადღებას.

ცხინვალი: სვერის მთაში*) კარგა ხანია, რაც მიაგნეს მარილის მადანს, მაგრამ დღემდე უყურადღებოდ არის მიტოვებული. 1899 წელს ვიღაც სომეხმა დაიჭირა ათამდე მუშა და ერთ კვირას ათხრევინა და ბოლოს, რომ დაატუოზარალში ვარდებიო სთქვა; „ჰამე! აქ მტატე წყალი ამოდის, მარილს ვერ ვიპოვნითო“ და შეაწყვეტინა მუშაობა. ნამდვილად-კი ამ მთიდან ბევრგან გამოდის წყარო და ყველანი მლაშეგემოსია. მიწას რომ გაჩიჩქნით, თვით მიწაა მლაშე და გარეული მტრედები აუარებელი ეტანება ხოლმე ზაფხულობით.

სვერის მთის მახლობლად, სამი ვერსტის სიშორეზე, ქვა-ნახშირიც არის და ამის აგ-კარგი მკვიდრმა ოსებმა არ იციან და უყურადღებოდ სტოვებენ... ამისთანა საქმეს, სასურველია, ყურადღება მიაქციოს ვინმემ და ინახულონ ეს ადგილები, სადაც მარილის და ქვა-ნახშირის მადანი უეჭველია, მდიდარი უნდა იყოს.

უცხოეთის წვრილი ამბები

ბრეტ-ჰარტის ცხოვრებიდან. ეხლახან გარდაცვალებული ცნობილი რომანისტი და სატირიკოსი ბრეტ-ჰარტი დიდიხანია, რაც ინგლისში დასახლდა. უმეტესი ნაწილი იმის უკანასკნელი თხზულებებისა ინგლისურ ჟურნალებში დაიბეჭდა. ამ რამდენიმე კვირის წინად დაიბეჭდა იმის უკანასკნელი რომანი.

დიდი ხნის განმავლობაში ბრეტ-ჰარტი დიდად თვალსაჩინო მწერლად ითვლებოდა ამერიკაში, თავის სამშობლოში, სადაც იმან მოღვაწეობის და დიდების სახელი მოიხვეჭა.

იმისი სამწერლო ასპარეზზე მოწოდება შემთხვევითი იყო. იმის მამა მასწავლებელი იყო და ახალგაზრდა გარდაიცვალა. შვილისთვის არაფერი შეძლება არ დაუტოვებია. ბრეტ-ჰარტი ჯერ თხუმეტი წლისა არ იყო, რომ სხვებთან ერთად გაემგზავრა კალიფორნიაში, სადაც ამერიკელები მიეშურებოდენ, რომ ქონება შეეძინათ.

ბრეტ-ჰარტმა მიატოვა თავისი სამშობლო ალბანი და გაემგზავრა ბედის საძებნელად. გაკვეთილებმა, რომლებსაც იმას მამა აძლევდა, უშველეს იმას, და მასწავლებლის თანაშემწის ადგილი იშოვა კალიფორნიაში. მაგრამ მასწავლებლობას იმისათვის ძალიან ცოტა სარგებლობა მოჰქონდა, რის გამოც მიატოვა იგი და სამადნოებში დაიწყო მუშაობა. ეს ხელობაც, ცოტა არ იყოს, ემძიმა და მალე ერთი დიდი გაზეთის სტამბაში შევიდა ასოთ-ამწყობად; გაზეთი სან-ფრანცისკოში გამოდიოდა.

თითქმის სტამბაში შესვლისათანავე, ბრეტ-ჰარტმა დაიწყო მოთხრობების წერა, და რედაქტორმაც, რა ნახა, რომ ყმაწვილ კაცს ბუნებითი ნიჭი აქვს, სტამბიდან რედაქციაში გადაიყვანა.

ბრეტ-ჰარტი თითონ იტყოდა ხოლმე, რომ წიგნთსაცავი, რომელიც იმას მამამ დაუტოვა, ხშირად აგონებდა იმას და აიძულებდა, რომ მწერალი გამხდარიყო. ფროასარის ქრონიკებმა, დონ—კიხოტმა და არგონავტების ისტორიამ გაუღვიძა იმას რომანიული ლიტერატურის გემოვნება.

* *

სამხედრო ხალხის განკურნება თავის მოკვლისაგან. ერთი ფრანგული გაზეთი ჩივის, რომ თავის მოკვლა ჯარებში იშვიათი არ არის, და ამასთან თითქო გადამდებ სენად გარდაიქცა, რის მოსპობაც ძალიან საძნელოა.

მიუხედავად ამისა, ნაპოლეონ პირველმა, რომელსაც თავისდღეში საძნელოდ არაფერი არ მიაჩნდა, ღონისძიება იპოვა, თავის სალდათები გადაერჩინა თავის მოკვლას, რის გამოც გამოსცა ბრძანება, რომელიც მხოლოდ ეხლახან იპოვეს:

დღიური ბრძანება

„სენ კლუ, 22 აპრილს, მეათე წელიწადი რესპუბლიკისა“.

„გრენადერმა გრობლენმა, საზოგადოდ რიკიანმა ახალგაზდამ, თავი მოიკლა უბედური (უნუგეშო) სიყვარულის გამო; ეს მეორე შემთხვევაა პოლკში ამ ერთი თვის განმავლობაში“.

„პირველი კონსული ბრძანებს გამოეცხადოს გვარდიას შემდეგი დღიური ბრძანება: “სალდათს უნდა შეეძლოს დასთრგუნოს მწუხარება და სევდა. იმისთვის, რომ სულიერი ტანჯვანი მტკიცედ აიტანოს, იმდენადვე საჭიროა ჭეშმარიტი ვაჟკაცობა, რამდენადაც იგი საჭიროა გაცხარებულს ბრძოლაში, რომ ტყვიას არ დაუფთხრეს. უბრძოლველად მწუხარებას დაემორჩილოს კაცი, და მეტადრე თავი მოიკლას იმიტომ, რომ სევდა აიშოროს—ეს იგივე იქნება, რომ გამარჯვებამდის კაცმა ბრძოლის ველი დასტოვოს.

„ხელ-მოწერილია: ბონოპარტი.“

„შემოწმებულია: ბესიერი“.

* *

ქალი და რევოლვერი. ერთმა მეტად მდიდარმა ამერიკელმა ქალმა ქ-ნ ხეტტი გრინმა ნიუიორკი პოლიციის დეპარტამენტისაგან მიიღო მისგან ნათხოვნი ნებართვა რევოლვერის ტარებისა. ეს პირველი შემთხვევაა მთელს ქვეყანაზე, რომ ქალისთვის მთავრობას ნება მიეცეს იარაღის ტარებისა.

ამ გვარი საქციელის მიზეზად ქალი შიშს და განსაცდელს ასახელებს, რომელიც იმის სიცოცხლეს და იმის ქონებას მოელის ... იურისტების გადამკიდე! ქალის სიტყვით, ყოვლად შეუძლებელია იურისტებთან ფულის საქმის დაჭერა, თუ ხელში რევოლვერი არ გიპირავს. ეტყობა, ამ ქალს კარგა შეუგნია კუდაბზიკა „ადვოკატების“ საქციელი.

მედა ჩემმა ღმერთმა, ჭკვიანი დედაკაცი ყოფილა! მაგრამ უკეთესს იზამდა ის ქალი, ჩერქეზული მათრახის ტარების ნება რომ ეთხოვნა. ..

პელაგია მურტაძე და მისი ქალად-ოგლები

ვერაზე, ოლგინის ქუჩაზე, ჯვარს ზევით ამ რამდენიმე წლის წინად ვინმე ივანე მურტაძეს ქოხი აუშენებია და იქ თავის ცოლ-შვილი დაუბინავებია. დღიურ ლუკმას ხუროობით ჰპოულობდა.

იმ ადგილს, სადაც მურტაძემ ქოხი ააგო, პატრონად გურგენბეკოვი გამოჩენია, ადგილი ვინმე ჯანფოლადოვისათვის მიუყიდნია და ამასაც ძალა უხმარია მურტაძის იმ ადგილიდან აყრისათვის: სასამართლოში უჩივლია, იქიდან საბუთები აუღია და მურტაძეს თავს დადგომია—ქოხი აჰყარე და ადგილი დამიცალეო. მურტაძე ჯანფოლადოვის სურვილს არ ასრულებდა.

ამ წლის 12 მარტს მურტაძესა და იმის წვრილ-შვილებს ჯანფოლადოვი გამოცხადებია და ქოხის დაქცევას მიდგომია. ძალა ხელში ჰქონია, ნივთიერად მეტად შევიწროებულს ივანე მურტაძეს გულმა ვერ მოუთმინა, როცა ჰხედავდა, რომ იმის ოფლით ნაამაგარს ქოხს იმის ცოლსა და წვრილ-შვილებს თავზედ აქცევდნენ და აქაც წინააღმდეგობა გამოუჩენია: პოლიციას ამის გამო მურტაძე დაუჭერია და საქმე გამომძიებლისათვის გადაუცია.

12 მარტიდან მურტაძე ციხეშია და იმის ცოლ-შვილს კი (ექვსი სულია) მეზობლებმა აღმოუჩინეს დახმარება. ეს მესამე თვეა ამ მდგომარეობაშია მურტაძის სახლობა. ახლა კი ერთ-ერთი ამათი მეზობელთაგანი შემოგვჩივის, რომ მეტად გაუჭირდათ მურტაძის წვრილ-შვილების შენახვა და ამათმა უბინაობამ უფრო შეაწუხა მეზობლები. დატუსაღებულ მურტაძეს კაცი არა ჰყავს, რომ იმის საქმეს რამე დახმარება და შველა მისცეს; ცოლს კი არავითარი საშუალება არა აქვს ვინმე ვექილი დაიქირაოს.

კარგი იქნება, ერთ-ერთმა ჩვენ ახალგაზრდა იურისტმა ითავოს ამ საქმის გაძღოლა და მეტად შევიწროებულ ოჯახობას ხელი შეუწყოს იმითი, რომ სასამართლოს წინაშე გაჭირვებულ მურტაძის სიმართლე დაიცვას.

ჩვენ გვჯერა, რომ ამისთანა კეთილის საქმის ასრულების მოსურნე გამოუჩნდება მურტაძის ძალად-დაობლებულ წვრილ-შვილებს.

ამ ჟამად მურტაძის ცოლი და წვრილ-შვილები ვინმე მოლაშვილის სახლში არიან შეხიზნებულნი, ვერაზედვე, ჯვარის ზევით, მაღლობ უბანში.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მაისი

პეტერბურგი. ჰესსენის ლანდგრაფი მათ უდიდებულესობათ მიიღეს ცარსკოსელსკის სასახლეში.—20 მაისს გატჩინოს სასახლეში დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს წარუდგნენ წითელი ჯვრის კონფერენციის დელეგატები.—20 მაისს წითელი ჯვრის კონფერენციის დელეგატები ცარსკოსელსკის დიდს სასახლეში წარუდგნენ ხელმწიფე იმპერატორს და დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს.

სედლეცი. უთვალო ზამთარმა არ ავნო ზამთრის ნათესებს. მოსავალი რიგიანია.

---

*) სვერის მთა იმყოფება დ. ცხინვალიდან 15 ვერსტის სიშორეზე ს. ქემერტის მახლობლად.

კიევი. ზამთრის ნათესები ყველგან ძალიან კარგია. საზოგადოდ გუბერნიაში კარგი მოსავლის იმედი აქვთ.

გროდნო. ზამთრის ნათესი მაზრებში რიგიანია.

რიბინსკი. მევენახეობის საზოგადოების განყოფილების გამოფენა გაიხსნა 27 მაისამდე.

კემმერნი. საბანაო სეზონი გაიხსნა; ავადმყოფებმა დენა იწყეს.

ვიბორგი. გუშინ, საღამოს ათ საათზე, დიდი მეტეორი გამოჩნდა, რომელიც ჩრდილოეთ აღმოსავლეთისკენ მიჰქროდავდა. შემდეგ ორ ნაწილად გაიყო და ნათელი კვალი დასტოვა, რომელიც 15 წუთს ანათებდა.

რიაზანი. ზაფხულში მდინარე ოკაზე კლდეებს აფეთქებენ, რომ მდინარის ძირი ამოაღრმავონ.

ლონდონი. დილის გაზეთები კმაყოფილებას აცხადებენ მშვიდობიანობის ჩამოგდების გამო. „სტანდარდი" იხსენიებს ბურებს ყველაზე უმამაცეს ხალხად, რომელთანაც კი ბრიტანიის ნაციონალურ ჯარებს საქმე ჰქონიათ. „მორნინგ პოსტი" ბედნიერად სთვლის იმ გარემოებას, რომ გვირგვინის კურთხევა იმ დროს ხდება, როდესაც სახელმწიფო ბევრად ძლიერია, ვიდრე როდისმე. „დაილ. ნევ." ამბობს, რომ ბრიტანიის ხალხმა უნდა აღადგინოს თანხმობა და კეთილდღეობა აოხრებულს მხარეში და დაანახვოს ბურებს, რომ ინგლის შეუძლიან ისეთივე გამარჯვება უზრუნველყოს მშვიდობიანობაში, როგორათაც ომში. „დაილ ტელეგრაფი" აღნიშნავს სასიამოდ, რომ საქმე უფრო გვიან არ გათავდა. შიში, რომელიც ინგლისს მოელოდა, მომავვდინებელი შიში იყო.

ბერლინი. ვიდრე პრუსიის პალატის წარმომადგენლები შეუდგებოდენ სადამოუნო მფარველობის მომატებაზე წინადადებათა განხილვას, რეიხს—კანცლერმა განაცხადა, რომ მთავრობა უარს ამბობს წინადადებათა განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე; ეს საქმე მარტო რეიხსტაგს შეეხება. ეს განცხადება მემარჯვენეთ უსიამოვნოდ მოისმინეს; მარცხნივ ისმოდა მოწონება. მინისტრებმა დასტოვეს კრების დარბაზი.

დუვრი. დღეს გაიარა ლონდონში მიმავალმა დიდმა მთავარმა მიხეილ მიხეილისძემ, რომელიც გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მიდის.

პარიზი. ლუონ ბურჟუამ მაშინათვე, როგორც კი პალატის პრეზიდენტად ამოირჩიეს, სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც უმთავრესი ეს იყო: „ჩვენ ნაციონალურის სიამაყით აღსავსენი ვართ, როდესაც მოვიგონებთ პრეზიდენტის მოგზაურობას პეტერბურგში და იმ დახვედრას, რომელიც აღმოუჩინეს საფრანგეთის წარმომადგენლს მათ უდიდებულესობათ. დიდის მეგობარი ხალხის ნათელმა სიმპატიამ ახალი ძალა მისცა უფლების იდეას პროგრესისა და ჰუმანიურის მოქმედებისა, რის მომასწავებელიც არის ეს კავშირი".

ლონდონი. წერილში მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე „ტაიმსი" ამბობს: „ეხლა ჩვენ შეგვიძლიან ახალის ძალ-ღონით შევუდგეთ ჩვენის იმპერიალისტური მოვალეობის აღსრულებას, როდესაც ვგრძნობთ ჩვენს სიძლიერეს და უფრო მეტის იმედით, ვიდრე მაშინ, როცა ომი თავს მოგვახვიეს მამაცმა მოწინააღმდეგებმა, რომელთაც ეხლა მივესალმებით, როგორც ბრიტანიის იმპერიის თანამოქალაქეთ.

21 მაისი

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა სამინისტროს მეორე დეპარტამენტის ვიცე დირექტორი დეის. სტ. სოვ. გორიაინოვი ამავე სამინისტროსა და პეტერბურგის უმთავრეს არხივის დირექტორად დაინიშნა.

გადასასახლებელთა სამმართველოს უფროსი გაპწიუსი შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრად დაინიშნა.

გადასასახლებელთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე კრივოშეინი დაინიშნა ამავე სამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

ლონდონი. მინისტრთა საბჭოსაკენ მიმავალ მინისტრებს გულითადად მიეგება ხალხი, განსაკუთრებით ბალფურსა და ჩემბერლენს.

ლონდონი. სამშვიდობო პირობების დადგენა დიდის ამბით იდღესასწაულეს ყველგან. დღეს ბევრი ფაბრიკები და სკოლები დაკეტილია. ქუჩებზე პროცესიებს მართავენ. რამდენსამე ქალაქში მსაჯულებმა თავის მოვალეობის აღსრულების დროს მათთან მიყვანილი პატიმრები გაანთავისუფლეს.

ოდესა. დღეს ბირჟის სახლში გაიხსნა კონფერენცია გზათა და ფინანსის სამინისტროების და რუსეთის და უცხოეთის რკინის გზების წარმომადგენლებისა შესახებ რუსეთ—გერმანიის—ნიდერლანდიის რკინის გზებით მიმოსვლისა. დაესწრო 27 წევრი. კრებები გაგრძელდება 27 მაისამდე. ქალაქის თავმა და ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარემ მიულოცეს კრების გახსნა. გასინჯავენ ქალაქის ტეხნიკურ შენობებს და რკინის გზებს. ქალაქი კონფერენციის წევრთ სადილს გაუმართავს.

ვენა. გალიციაში, ბორისლავსკის აქციონურ საზოგადოების მადნებში მოხდა აფეთქება. მადნის 16 მუშა მოკვდა. 4 მძიმედ არის დაჭრილი.

ბერლინი. გუშინ დამთავრდა უმთავრესი ნაწილი შანტუნგის რკინის გზისა და გაიხსნა მიმოსვლისათვის.

უტრეხტი ლეიდსი ახლა პარიზშია, ხოლო ფიშერი, ვესსელსი და ვოლმარანსი კი უტრეხტში.

ბერლინი. პრუსიის პალატამ 133 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 79-სა მიიღო კონსერვატორთა წინადადება შესახებ საბაჟო ტარიფის მომატებისა იმაზე მეტად, ვიდრე სატარიფო კომისიამ წარუდგინა.

ლონდონი. პალატა. ქანდარა გაჭედილია ხალხით. ბროდრიკს და ჩემბერლენს მიეგებნენ დიდის აღტაცებით. ბალფურმა წაიკითხა ბურთა თანხმობა ჯარის დამორჩილებაზე. პირველი მუხლით ბრძოლის ველზე მყოფი ბურები დაუყოვნებლივ დაჰყრიან იარაღს და უარს განაცხადებენ ბრძოლაზე, წინააღმდეგ მეფე ედუარდ მე-VII-ისა, რომელსაც კანონიერ მეფედ აღიარებენ; მეორე მუხლით ბურებს, რომელნიც ტრანსვაალსა და ორანჟეს გარეთ არიან და ყველა ტყვეებს სამხრეთ-აფრიკის გარედ მყოფთ, აღიარებენ თუ არა თავიანთ თავს მეფის ქვეშევრდომად, დააბრუნებენ სამშობლოში, როგორც კი მოაწყობენ იმათ გადაყვანის საქმეს; მესამე მუხლი: დაბრუნებულნი სრულიად თავისუფალნი იქნებიან როგორც თვითონ, აგრეთვე მათ ქონება. (ამ მუხლმა გამოიწვია ოპოზიციის მოწონება). მეოთხე: ამ რიგად დაბრუნებულნი არ მიეცემიან არც სისხლის და არც სამოქალაქო სამართალში ომით გამოწვეულ მოქმედებისათვის.

ლონდონი. თუ მშობლები მოისურვებენ, ჰოლანდიის ენას ასწავლიან საზოგადო სკოლებში ტრანსვაალში და ორანჟეს კოლონიაში; იმავე ენაზე აწარმოებენ სამართალს სამოსამართლოებში, თუ ამას მოითხოვს საქმის წარმოების გაუკეთესება. ტრანსვალში და ორანჟეს კოლონიაში იარაღის ტარების ნება მიეცემათ მხოლოდ იმ პირთ; რომლებისათვისაც ეს საჭირო იქნება დასაცავად თავიანთ თავისა და თუ მიიღებენ ამის შესახებ შესაფერს ნებართვას. სამხედრო მართვა რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს სამოქალაქო მართვაზე და, როდესაც კი მოხერხებულად იცნობენ, შემოღებული უნდა იყოს წარმომადგენელთა მმართველობანი.

კითხვა იმის შესახებ, მიეცეს თუ არა მკვიდრთ ამომრჩეველთა უფლებანი, გარდაწყვეტილი იქმნება შემდეგ თვით-მმართველობის შემოღებისა. განსაკუთრებით ხარჯს არ შეწოიღებენ. ყოველ ოლქში დაინიშნება კომისია, რომელთა კრებებზე მიიღებენ მონაწილეობას ოლქის მცხოვრებნი; სამშობლო ადგილებში დაბრუნების გასაადვილებლად და დაბრუნების მსურველთა დასახმარებლად, ინგლისის მთავრობამისცემს კომისიას 3 მილიონ გირვანქას. მთავრობა უარს არ იტყვის დახმარება ამოუჩინოს სესხითაც ორი წლის ვადით, ზემოთ აღნიშნულ საგნისათვისვე იმ ფულიდამ, რომელიც თავისუფალი იქმნება ხარჯს გარდა. ამ მუხლებით სარგებლობის ნება არ მიეცემათ არც უცხოელთ და არც მეამბოხეთ (დიდი მოწონების ხმაა სამინისტროს დასისა).

ლონდონი. ბალფურმა გამოაცხადა, რომ კიდევ საყურადღებო მუხლებია, რომლებიც არ არის შეტანილი კვირის ხელმოწერილ საბუთში.

რაკი ბურების წარმომადგენელთ ჩააბარეს პირი ხელშეკრულობისა, მილნერმა წაუკითხა განცხადება, რომლის ძალით კაპის და ნატალის მეამბოხეთ გაასამართლებენ კოლონიების ადგილობრივ კანონებით; კაპის მეამბოხენი თუ უბრალო ჯარის კაცები არიან, უნდა დაისაჯნენ არჩევნების უფლებათა ჩამორთმევით.

ლონდონი. ბალფური განაგრძობს. ხელშეკრულობაზე ხელი უწერიათ ინგლისის მთავრობის სახელით კიტჩენერს და მილნერს, ორანჟეს მთავრობის სახელით—შტეინს, დევეტს, ოლივიეს და ჰერცოგს; ტრანსვაალის სახელით შალკ-ბურგერს, რეიცს, ლუიბოტას და დელარეის. ბალფურის შემდეგ ლაპარაკობს კემბელ ბანნერმანი; აცხადებს, რომ მანამ ბალფური არ წარმოადგენს დოკუმენტებს არას შეჰნიშნავს და ამას უმატებს, რომ მალე იშუამდგომლებს პალატის წინაშე გამოეცხადოს მადლობა კიტჩენერს და ლაშქარს.

ლონდონი. ქვეყნის ყოველ კუთხიდან მიიღო მეფემ მისალოცი დეპეშები სამშვიდობო ზავის ჩამოგდების გამო. იმპერატორმა ვილჰელმმა და იმპერატორმა ფრანც-იოსებმაც გულითად მილოცვის დეპეშები გამოუგზავნეს.

პარიზი. გუშინ სააგადმყოფოს პირდაპირ მდგომ ხალხიდან ვიღაც'მ რევოლვერი ესროლა პოლიციის პრეფექტს ლეპინს. ლეპინი არ დაჭრილა. რევოლვერის მსროლელი კი სადღაც მიიმალა.

ლონდონი. ირლანდიაში მეფის მოადგილე ლორდს იმპერატორმა ვილჰელმმა მადლობა გადაუხადა იმ მიღებისათვის, რომელიც აღმოუჩინეს პრინც ჰენრიხსა და იმის ესკადრას; ამასთანავე სურვილი გამოსთქვა, რომ ეს სტუმრობა კიდევ ერთ შემაერთებელ რგოლად იქმნეს ამ ორ მხარეთა შორის.

პეტერბურგი. სამხედრო სასწავლებელთა უფროსი გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ჩარიცხულ იქმნა პავლოვსკის სასწავლებელთა სიაში.

ბათუმი. სპარსეთსა და შუა აზიას შორის სავაჭრო დამოკიდებულების გასაადვილებლად „კავკაზ-მერკურის" საზოგადოებამ ცალკე სააგენტო გახსნა ბათუმში.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 15 მაისს

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,20
პერლინზე 100 მარკაში	—
ბარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96¾ გაყიდ.
4% 0-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	98¾ „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	477 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	364¼ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ საადგ.-მამ. ბანკისა	294 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	177

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

მუზეუმი

დაჰყოფს კიდევ 27 მაისამდის, ახლად განახლებული სურათებია და **კატასტროფა შემახაში**; ჰაერში მფრინავი ქალი და კინემატოგრაფი.

(5—318—1) პატივისცემით **ფ. ი. ფიმ.**

გუსტავ გაბრიელის ძე მალევსკი თავის წასვლისა გამო ქუთაისიდან
ძლიერ იაფ და ხელ-მისაწვდომ ფასად

ჰყიდის ნაკვეთ მიწებს

ქალაქ ბათუმში—440 ოთხკუთ. საჟ.—100 საჟენის მანძილზე რკინის გზის სადგურიდან და ქალაქ ფოთში მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე; მე-15-ტე კვარტალში № 131—520 ოთხ-კუთ. საჟენი მე-17-ტე კვარტალში № 161—325 ოთხ. საჟენი და 162—520 საჟ.; მე-74-ე კვარტალში №№ 706 და 708—1100 საჟ. და სააგარაკო ადგილს ზღვის ნაპირას 12,000 ოთხ კუთ. საჟენზე მეტი.

დაწვრილებით ყველაფრის გაგება შეიძლება თვით მალევსკისთან ქ. ქუთაისში ან ნაფიც ვექილ რ. მ. იურკევიჩთან ბათუმში, და ი. ზ. ბერძენიშვილთან ქ. ფოთში.

(5—320—3)

გაზეთ „ცნობის ფურცელის" ცალკე ნომერი ღირს ყველა გამყიდველებთან **3** კაპ., სურათებიანი დამატებით **5** კაპ.

მაღაზია
ნ. ა. საბაევისა და ფ. ა. ფილიპოვისა
ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაას ნაწარმოებნი. ვენის გაღუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი, ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ**. (45—28)

Дозволено цензурою Тифлисъ, 21 Мая 1902 года.

ელექტრონით მოქმედი სტამბა ქართ. წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.